ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01190941740**
თარიღი: **04/04/2019**
პინი: **2910**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: შპს თმგ გრუპი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 206107559
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, ქინძმარაულის ქ., მე-2 შეს., № 6ბ, ბ. № 10

თქვენი N10/01190151031-17 განცხადების პასუხად გეგზავნებათ ბრძანება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

დანართი: ერთი ეგზემპლარი.

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/0119015103 1-17 15.01.19წ. განცხადება.
№წ-10/0119015103 1-17 16.01.19წ. ბრძანება.

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№ 3-10/01190151031-17

"04." 04. 2019 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ქინძმარაულის II შესახვევი, №8გ-ში (საკ. კოდი №01.19.34.004.062) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი–IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №3683726 15.11.2017წ.

ინსპექციის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ქინძმარაულის II შესახვევი, №8გ-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

პროექტში გეგმის ნახაზებზე მონოლითური კედლები სრულად არ არის აღნიშნული განსხვავებული დაფერვით. შიდა კიბის უჯრედებში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. „ა" ღერძზე „4-7" მონაკვეთში მდებარე აივნების გაბარიტები შემცირებულია.

ფასადებზე გაუქმებულია დეკორატიული ლესვა.

-2.90 ნიშნული: ჭრილის და გეგმების ნახაზებზე ნაჩვენები რიგელები არ შეესაბამება ერთმანეთს. „1a-4a" მონაკვეთში გაზრდილია კოლონების კვეთი. სართულის პერიმეტრზე შემცირებულია კედლების სისქე. "10" ღერძზე „გ-ბ" მონაკვეთში მდებარე კარის ტიპი შეცვლილია. „4a" ღერძთან შემცირებულია შოვი.

„1-10" ფასადი: +0.00 ნიშნულთან „2-3" და „8-9" მონაკვეთებში სადარბაზოს კარის ნახატები შეცვლილია, ხოლო ღიობებში მოწყობილია ცხაურები. ამავე მონაკვეთებში +30.40 ნისნულზე ღიობებში მოწყობილია მინაპაკეტის ფანჯრები.

პროექტის ხარვეზი: „ე-ა" ფასადზე აივნების კონტური არ შეესაბამება გეგმის ნახაზებზე ნაჩვენებს.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "თმგ გრუპი""-ს, ქ. თბილისში, ქინძმარაულის II შესახვევი, №8გ-ში (საკ. კოდი №01.19.34.004.062) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი–IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396